

ოქმი #7
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2020 წელი, 2 მარტი
 ქ. ოზურგეთი
 16.00 – 17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დ.დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები:
 გ.ღურჯუმელიძე, ლ.ბიგვავა, ბ.დოლიძე, ტ.არომიძე,
 გ.თოიძე, გ.ჩავლეშვილი, ლ.საჯაია, ლ.მგელაძე,
 ე.გორდელაძე.
 მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის
 პასუხისმგებელი მუშაკები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 10, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

1., „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ინიცირებისა და მის მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მოთხოვნის შესახებ“- საინიციატივო ჯგუფის წერილობითი მომართვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხს: დ.დარჩია

თანამომხს: ე.გორდელაძე

შეტანილ იქნა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

2., „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების მე-4 კვარტლის ანგარიშის მიმოხილვის შესახებ“- განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხს: დ.დარჩია

დაეწერა განსახილველად საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებს (გ.ჩაგანავა, ლ.საჯაია, ლ.ბიგვავა, ე.გორდელაძე, გ.კილაძე).

გადაწყვიტეს:

1. საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგში გათვალისწინებული N1 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში, განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

2. N2 საკითხი განსახილველად დაეწეროს საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებს (გ.ჩაგანავა, ლ.საჯაია, ლ.ბიგვავა, ე.გორდელაძე, გ.კილაძე).

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო